IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციების რეჟიმის აღსრულება საქართველოში

[თებერვალი-აგვისტო]

თბილისი, 2022

Supported by
Luminate
Building stronger societies

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ანალიზი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, Luminate-ის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და ანალიზში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Luminate-ის პოზიციას.

ძირითადი მიგნებები

- 2022 წლის 25 თებერვლიდან 10 აგვისტომდე, შემოსავლების სამსახურმა სულ გამოწერა 204 საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა, რითაც უკან გაბრუნდა რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის დანიშნულებით გადაადგილებული ტვირთები.

- ომის დაწყებიდან დაახლოებით 2 თვის განმავლობაში, საბაჟო კონტროლის დროს რუსეთის და ბელარუსის მიმართულებით სანქცირებული ტვირთის გააადგილების იდენტიფიცირება არ მომხდარა.

- სააღრიცხვო ბარათების მიხედვით, სანქცირებული ტვირთის (ან სანქცირებული პირის ტვირთი) გამომგზავნი ქვეყანა ყველაზე ხშირად იყო თურქეთი (39%) და სომხეთი (35%).

- 204 აღრიცხვის ბარათიდან 50-ზე საქონლის კოდი მითითებული არ არის, ხოლო საქონელი, რომ სანქცირებულია სიტყვიერად მითითებულია 71 შემთხვევაში.

- 2022 წლის 29 ივლისს საქართველოს საბაჟო გამშვები პუნქტიდან, უკან გააბრუნეს რუსეთის დანიშნულებით გადაადგილებული სანქცირებული ტვირთი - დრონები.

- სააღრიცხვო ბარათების დამუშავებით მიღებული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ყველაზე ხშირად (56 შემთხვევა) უკან გაბრუნდა სეს-ის 84-ე ჯგუფს (დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები) მიკუთვნებული საქონელი. მათ შორის, იყო სანქცირებული ტვირთი თბოგადამცემები, რომელიც გამოიყენება სამოქალაქო ავიაციისთვის.

- ყველაზე ხშირად უკან გაბრუნებულ ტვირთს შორის არის აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილები (ჯგუფი 87). მიუხედავად ამისა, საქსტატის მონაცემებით, 2022 წლის 9 თვეში რუსეთში ავტომობილების ექსპორტი 268%-ით გაიზარდა.

- ცალკეული პასუხისმგებელი უწყებები არ ასაჯაროებენ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციების აღსრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. მაგალითად, საზღაო ტრანსპორტის სააგენტომ საერთოდ არ გასცა სანქციების ქვეშ მყოფი გემების საქართველოს ნავსადგურებში შემოსვლის მცდელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. შემოსავლების სამსახურმა, საბაჟო საიდუმლოების მოტივით, სრულად დაფარა იმპორტიორის და ექსპორტიორის (იურიდიული პირების შემთხვევაშიც) შესახებ ინფორმაცია, ეროვნულმა ბანკმა ასევე კონფიდენციალურად მიიჩნია ფინანსურ ინსტიტუტებში გამოვლენილი საერთაშორისო სანქციების მოთხოვნებთან შეუსაბამობები.

2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში შეჭრის შედეგად, რუსეთის ფედერაცია მნიშვნელოვანი საერთაშორისო სანქციების ქვეშ მოექცა. რუსეთისთვის დაწესებული სანქციები მრავალმხრივია და ის ეხება კონკრეტულ ფიზიკურ პირებს, ბიზნესს, საბანკო გადარიცხვებს, იმპორტ-ექსპორტს და სხვა. მათ შორის, ევროკავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გაერთიანებულმა სამეფომ და სხვა ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება რუსეთთან და ბელარუსთან სხვადასხვა საქონლით ვაჭრობაზე შეზღუდვების დაწესების შესახებ. ასევე, მკაცრი სანქციები დაუწესდათ რუსეთსა და ბელარუსში მოქმედ კომპანიებსა და ფიზიკურ პირებს.

რუსეთისთვის საერთაშორისო სანქციების დაწესების პირველივე ეტაპზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო არ აპირებდა მონაწილეობა მიეღო ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებში. აღნიშნული განცხადება ასევე ცალკეული თანამდებობის პირების შემდგომი განცხადებები საკმაოდ ბუნდოვანი შინაარსის იყო და არ წარმოადგენდა მკაფიო განმარტებას რუსეთის ფედერაციის სანქცირებასთან დაკავშირებით საქართველოს პოლიტიკასა და როლზე. თუმცა, მოგვიანებით განვითარებული მოვლენები და სხვადასხვა უწყებების (ეროვნული ბანკი, შემოსავლების სამსახური, ეკონომიკის სამინისტრო) განცხადებები აჩვენებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რუსეთის ფედერაციას არ უწესებდა საკუთარ სანქციებს, ის არ აპირებდა გამხდარიყო ქვეყანა, რომლის საბაჟო ტერიტორია ან/და ფინანსური ინსტიტუტები საერთაშორისო სანქციებისგან თავის არიდებას შესაძლებელს გახდიდა.

შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებები განმარტავდნენ, რომ ყველა ის პროდუქცია, რომელიც მოხვედრილია სანქციების მონაწილე ქვეყნების მიერ განსაზღვრულ სიაში, აგრეთვე ნებისმიერი საბაჟო ოპერაცია (ექსპორტი, რეექსპორტი), რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს სანქცირებული ფიზიკური პირების ან კომპანიების მიერ, ექვემდებარებოდა განსაკუთრებულ საბაჟო კონტროლს. ასევე, საქართველოს ფინანსური სექტორი არის გლობალური საფინანსო სისტემის ნაწილი, რაც განაპირობებდა საფინანსო სექტორის საერთაშორისო სანქციებთან მიერთებას.

საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთისთვის დაწესებული საერთაშორისო სანქციების თავის არიდებისკენ მიმართული შემთხვევების შესწავლის მიზნით, IDFI-მ სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან გამოითხოვა შესაბამისი ოფიციალური ინფორმაცია. მათ შორის, IDFI-მ საწყის ეტაპზე შემოსავლების სამსახურიდან მოითხოვა 2022 წლის 25 თებერვლის შემდეგ გამოვლენილი შემთხვევების შესახებ დეტალური ინფორმაცია, როდესაც ადგილი ჰქონდა საერთაშორისო სანქციების ქვეშ მყოფი ტვირთების საქართველოს საზღვარზე გადაადგილების მცდელობას. აღნიშნული წერილის პასუხად, შემოსავლების სამსახურმა მოგვაწოდა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობების ასლები, რომელთა გამოწერითაც 2022 წლის 10 აგვისტომდე განხორციელდა რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის მიმართულებით გადაადგილებული ტვირთების უკან გაბრუნება.

შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2022 წლის 10 აგვისტომდე სულ გამოიწერა 204 საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა, რითაც უკან გაბრუნდა რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის დანიშნულებით გადაადგილებული ტვირთები. აღრიცხვის მოწმობების თარიღების მიხედვით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი სანქცირებული საქონლის უკან დაბრუნების პირველი შემთხვევა 2022 წლის 23 აპრილით თარიღდება. შესაბამისად, ომის დაწყებიდან დაახლოებით

2 თვის განმავლობაში, საბაჟო კონტროლის დროს რუსეთის და ბელარუსის მიმართულებით სანქცირებული ტვირთის გადაადგილების იდენტიფიცირება არ მომხდარა.

რუსეთის ფედერაციის და ბელარუსის დანიშნულებით გადაადგილებული ტვირთების უკან გაბრუნების ყველაზე მეტი (115) შემთხვევა ივლისის თვეში დაფიქსირდა.



საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის უკან დაბრუნება, ასევე შესაბამისი აღრიცხვის მოწმობების შევსება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობების დამტკიცებული ფორმები, სხვა მონაცემებთან ერთად მოიცავს საქონლის ექსპორტიორის და იმპორტიორის შესახებ ინფორმაციის შესავსებ გრაფებს. შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციაში, იმპორტიორის და ექსპორტიორის შესახებ ინფორმაცია სრულად იყო დაშტრიხული. შემოსავლების სამსახურმა, იმპორტიორი და ექსპორტიორი იურიდიული პირების შემთხვევაშიც, IDFI-ს განუმარტა რომ მათი ვინაობა წარმოადგენს საბაჟო საიდუმლოებას. ამ დოკუმენტების დაშტრიხული სახით მოწოდების გამო, IDFI-მ ვერ შეძლო ტვირთის ექსპორტიორი და იმპორტიორი კომპანიების იდენტიფიცირება, რაც საშუალებას მოგვცემდა მათი სანქცირებულთა სიაში გადამოწმების და კონკრეტული გადაზიდვების შეფერხების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

შემოსავლების სამსახურის მიერ გამოგზავნილ მოწმობებში ცალკე აღირიცხება ტვირთის გამომგზავნი და დანიშნულების ქვეყნები. წარმოდგენილ დოკუმენტებში ხშირია შემთხვევები, როდესაც არც გამომგზავნ და არც დანიშნულების ქვეყანაში არ ფიგურირებს რუსეთი ან ბელარუსი. კერძოდ, 204 აღრიცხვის ბარათიდან მხოლოდ 99 შემთხვევაშია დანიშნულების ქვეყანად რუსეთი ან ბელარუსი მითითებული. მაგალითად, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც აღრიცხვის მოწმობაში როგორც გამომგზავნ, ასევე დანიშნულების ქვეყანაში მითითებული იყო

თურქეთი. მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებითაც შემოსავლების სამსახურმა წერილობით დაადასტურა, რომ ყველა IDFI-თვის გამოგზავნილი აღრიცხვის მოწმობა, გამოწერილ იქნა **რუსეთის ფედერაციისა და ბელორუსის დანიშნულებით** გადაადგილებული ტვირთების უკან გაბრუნების დროს.

მოწმობის შევსების ინსტრუქციის მიხედვით, გამომგზავნ ქვეყანაში მიეთითება საქონლის გამომგზავნის ქვეყნის დასახელება, ხოლო დანიშნულების ქვეყანაში მიეთითება ის ქვეყანა, სადაც დასრულდება საერთაშორისო გადაზიდვა. ამასთან, რამდენიმე დანიშნულების ქვეყნის შემთხვევაში მიეთითება პირველი.

ამასთან, სავარაუდოდ ცალკეულ შემთხვევებში მებაჟე-კონტროლიორის მიერ ტვირთის უკან გაბრუნების დროს აღრიცხვის ბარათის დანიშნულების ქვეყანაში მითითებულია ის ქვეყანა, სადაც მოხდა ტვირთის გაბრუნება.

სააღრიცხვო ბარათების მიხედვით, სანქცირებული ტვირთის (ან სანქცირებული პირის ტვირთი) გამომგზავნი ქვეყანა ყველაზე ხშირად იყო თურქეთი (39%) და სომხეთი (35%). 15 შემთხვევაში (7%) ტვირთის გამომგზავნ ქვეყანად მითითებულია საქართველო.


ASYCUDA World ტრანზიტი

4 5 Copy for the office of destination

Copy for return

T1

69601

სგპ "სარფი" / BCP "Sarpi"

1 1 15

1 01 2022 040836

D 113217 04/08/2022

თურქეთი / TURKEY

792 792

RETURN TO:

თურქეთი / TURKEY

EL050MN/RN050T 268

SCANIA 268

32

4 5

მოხსნილია კონტროლიდან

სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ 2022 წლის16 აგვისტოს №21-10/76098 წერილით გადმოგეგზავნათ ყველა ის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა (მათ შორის №69601/D113217 04/08/2022), რომლებიც გამოწერილ იქნა **რუსეთის ფედერაციისა** და **ბელორუსის** დანიშნულებით გადაადგილებული ტვირთების უკან გაბრუნების დროს.

შემოსავლების სამსახურის განმარტება აღრიცხვის მოწმობებში გამომგზავნი და დანიშნულების ქვეყნის გრაფებში დატანილ ინფორმაციასთან დაკავშირებით.





შემოსავლების სამსახურის მიერ გამოგზავნილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვის მოწმობები ითვალისწინებს საქონლის აღწერას, რომელიც გაბრუნებულია უკან. ინსტრუქციის მიხედვით, აღნიშნულ გრაფაში უნდა მიეთითოს საქონლის კოდი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) შესაბამისად. მოწოდებული 204 აღრიცხვის ბარათიდან 50-ზე საქონლის კოდი მითითებული არ არის. აღნიშნულ შემთხვევებში, სადაც ტვირთის დასახლება ან კოდი არ იყო მითითებული, უმეტესწილად სიტყვიერად განმარტებულია, რომ ტვირთი სანქცირებულია.

საქონლის აღწერის გრაფაში, ბარათის შემვსები პირის მიერ, საქონელი რომ სანქცირებულია სიტყვიერად მითითებულია 71 შემთხვევაში. მათ შორის, მხოლოდ 24 შემთხვევაში სიტყვიერ მითითებასთან ერთად არსებობს საქონლის კოდის/ების ჩანაწერი. მაგალითად, 2022 წლის 29 ივლისს შევსებული აღრიცხვის ბარათში მითითებულია, რომ საქართველოს საზღვარზე გადაადგილდებოდა **სანქცირებული ტვირთი დრონები.** ტვირთის გამომგზავნ ქვეყანაში მითითებულია თურქეთი, ხოლო დანიშნულების ქვეყანაში რუსეთი.

2022 წლის 17 ივლისს შევსებული აღრიცხვის ბარათში მითითებულია, რომ საქართველოს საზღვარზე გადაადგილდებოდა **სანქცირებული ტვირთი (თბოგადამცემები 84195000), რომელიც გამოიყენება სამოქალაქო ავიაციისთვის.** ტვირთის გამომგზავნ ქვეყანაში მითითებულია იტალია, ხოლო დანიშნულების ქვეყანაში რუსეთი. შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე სასაქონლო კოდების მიხედვით განთავსებული ინფორმაციის მიხევდით, აღნიშნული საქონელი საჭიროებს ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სხვადასხვა ნებართვებს.

Copy for the office of destination

Copy for return

T1

69601

სგპ "სარფი" / BCP "Sarpi"

1 | 1 | 15

1 | 01 | 2022 TAS DNDNN

D 109838 29/07/2022

34HH3194/34DN5696 | 792

792

32

0000

0.00

0.00

17

1

8400

1 17 სხვა / Others

8400

7,860.00

0.00

RETURN TO:

თურქეთი / TURKEY | 792 | 643

რუსეთი / RUSSIAN

<u>მოხსნილია კონტროლიდან</u>

სანქცირებული ტვირთი (დრონები)

Copy for the office of destination

Copy for return

D 103320 17/07/2022

31HV834/31ACK002 | 792

VOLVO | 792

32

1 | 8400

8400

1 17 სხვა / Others

RETURN TO:

იტალია / ITALY | 380 | 643

რუსეთი / RUSSIAN

<u>მოხსნილია კონტროლიდან</u>

თბოგადამცემები სხვა, 84195000 სანქცირებული საქონელი.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 204 სააღრიცხვო ბარათიდან, უკან გაბრუნებული საქონლის კოდი მითითებულია 154 შემთხვევაში. სააღრიცხვო ბარათებში უმეტესწილად მითითებულია ორნიშნა კოდები. აღნიშნული წარმოადგენს გარკვეული საქონლის ჯგუფს, სადაც შესაძლებელია თავმოყრილი იყოს მნიშვნელოვანი რაოდენობის სხვადასხვა დასახელების საქონელი. შესაბამისად, მსგავსი კოდებით შეუძლებელია კონკრეტული საქონლის დასახელების იდენტიფიცირება. ამასთან, აღნიშნული კოდები არ გვაძლევს საშუალებას მისი უკან გაბრუნების მიზეზის დადგენის. კერძოდ, კონკრეტული გადაზიდვის შეფერხების მიზეზს წარმოადგენდა სანქცირებული საქონლის თუ სანქცირებული პირის კუთვნილი საქონლის გადაზიდვა. IDFI-მ შემოსავლების სამსახურს დამატებით მიმართა თხოვნით, შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, თითოეული აღრიცხვის ბარათის მიმართებით ეცნობებინათ სანქცირებული ტვირთის სახელწოდება ან/და სანქცირებული პირის სახელწოდება, რომლის მფლობელობაში არსებული ტვირთი გადაადგილდებოდა. ამ მოთხოვნაზე სამსახურმა IDFI-ს განუმარტა, რომ აღრიცხვის მოწმობებში, საქონლის აღწერის გრაფებში შეტანილ მონაცემებზე რაიმე დამატებითი სახის ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ავტომატიზირებულ ბაზაში არ ფიქსირდებოდა.

სააღრიცხვო ბარათების დამუშავებით მიღებული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ყველაზე ხშირად უკან გაბრუნდა სეს-ის 84-ე ჯგუფს მიკუთვნებული საქონელი. კერძოდ, 56 შემთხვევაში საქონლის აღწერაში მითითებული ერთ-ერთი კოდი წარმოადგენდა აღნიშნულ ჯგუფს. **სეს-ის 84-ე ჯგუფის სრული სახელწოდებაა ბირთვული რეაქტორები, ორთქლის ქვაბები (ბიოლერები), დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები, მათი ნაწილები.** ძირითად შემთხვევაში, აღნიშნული კოდის საქონელზე არსებული კონკრეტიკა შემოიფარგლება მხოლოდ მითითებით, რომ ტვირთი წარმოადგენს მოწყობილობებს. სააღრიცხვო ბარათების

შევსების ინსტრუქციის მიხედვით, ტვირთის დასახელების უფრო დეტალიზირებული კოდები (ოთხნიშნა ან რვანიშნა კოდი) ეთითება იმ საქონელზე, რომლის შემოტანას/გატანას ესაჭიროება ლიცენზიები/ნებართვები ან წარმოადგენს სხვადასხვა აქციზურ საქონელს.

ასევე, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც უკან გაბრუნდა 39-ე ჯგუფს (პლასტმასები და მათი ნაწარმი) მიკუთვნებული პროდუქცია. ამ ჯგუფიდან უმეტესწილად წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პოლიმერები, რომლებზეც ცალკეულ შემთხვევაში მითითებული იყო, რომ ტვირთი წარმოადგენდა სანქცირებულ საქონელს.



რიგით მესამე (25 შემთხვევა) ყველაზე ხშირად უკან გაბრუნებულ საქონელს წარმოადგენდა სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილები (ჯგუფი 87). მათ, შორის 22 შემთხვევაში ტვირთის გამომგზავნ ქვეყანაში მითითებულია სომხეთი, საიდანაც მიემართებოდა რუსეთის დანიშნულებით. აღნიშნულ სააღრიცხვო ბარათებში მხოლოდ ერთ შემთხვევაშია მსგავს კოდზე მითითებული, რომ საქონელი სანქცირებულია. დანარჩენ შემთხვევაში მითითებულია ავტომობილის მოდელი, სატრანსპორტო საშუალების სახეობა ან ვინ კოდი. უკან გაბრუნებულ სატრანსპორტოს საშულებებს შორის, ვხდებით სხვადასხვა მოდელის და გამოშვების წელის ავტომობილებს. მაგალითად, დოკუმენტაციაში მითითებული ვინ კოდების მიხედვით, იდენტიფიცირებულია 5 ავტომანქანა, მათ შორის, 2020 წელს გამოშვებული TOYOTA GR SUPRA, FORD MUSTANG და სხვა.



8703	1	17	ხხვ / Others
1 ც ა/მ FORD MUSTANG			

32 ხაქ. 1	No. 8703	
35 ბრუტო წონა, კგ	1,300.00	
38 ნეტო წონა, კგ	0.00	
40 წინამწერი დოკუმენტი		



8703	1	17	ხხვ / Others
სანქცირებული საქონელი			

32 ხაქ. 1	No. 8703	
35 ბრუტო წონა, კგ	5,877.00	
38 ნეტო წონა, კგ	0.00	
40 წინამწერი დოკუმენტი		

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ VIN ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘ ონლაინ გადახდა ნებისმიერი ბანკის მიერ გაცემული VISA ან Mastercard-ის ბარათით. VIN: WZ1DB4C0XLW023786 მწარმოებელი: TOYOTA მოდელი: GR SUPRA ძრავი: 3.0L L6 გამოშვების წელი: 2020	
VIN: 2C3CDZAG2JH311240 მწარმოებელი: DODGE მოდელი: CHALLENGER ძრავი: 3.6L V6 DOHC 24V გამოშვების წელი: 2018	
VIN: 2C4RDGEGOHR842283 მწარმოებელი: DODGE მოდელი: GRAND CARAVAN GT ძრავი: - გამოშვების წელი: 2017	

VIN: 1FA6P8CF9L5176689 მწარმოებელი: FORD მოდელი: MUSTANG ძრავი: 5.0L V8 DOHC 32V გამოშვების წელი: 2020	
VIN: 3GNAXKEVOLL255102 მწარმოებელი: CHEVROLET მოდელი: EQUINOX LT ძრავი: - გამოშვების წელი: 2020	
ვინ კოდით იდენტიფიცირებული ავტომობილის მოდელი და გამოშვების წელი, რომელიც გაბრუნდა უკან. ფოტოსურათი წარმოადგენს ანალოგიური მოდელის ფოტოლუსტრაციას.	

სამწუხაროდ, სააღრიცხვო ბარათებში ასახული მონაცემები არ იძლევა დეტალურ ინფორმაციას ავტომობილების უკან დაბრუნების მიზეზებთან დაკავშირებით. კერძოდ, ინსტიტუტისთვის უცნობია აღნიშნული ავტომობილების უკან გაბრუნების მიზეზს წარმოადგენს მისი სანქცირებული პირის საკუთრებაში ყოფნა, აღნიშნული კოდის ქვეშ მყოფი სხვადასხვა ორმაგი დანიშნულების ტვირთის გადაზიდვა თუ სხვა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოფიციალურ სააღრიცხვო ბარათებში სამსახურის ცალკეული თანამშრომლების მიერ გაკეთებულია უკრაინის მხარდამჭერი ჩანაწერები, რაც სავარაუდოდ დაკავშირებულია უკრაინის მხარდამჭერი მოქმედების (მათ შორის სანქცირებული პირის/ტვირთის გამოვლენის) მინიშნებასთან.

მიუხედავად რუსეთის მიმართულებით ავტომობილების გადაზიდვასთან დაკავშირებით არსებული გარკვეული შეფერხებებისა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები აჩვენებს, რომ 2022 წლის საწყისი 9 თვის განმავლობაში რუსეთში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, 2022 წლის 9 თვეში რუსეთში ავტომობილების ექსპორტი 268%-ით გაიზარდა. ასევე, მნიშვნელოვნად გაიზარდა სომხეთში და შუა აზიის ქვეყნებში საქართველოდან ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპორტის მაჩვენებლები. აღნიშნულ ქვეყნებში საქართველოდან ავტომობილების ექსპორტის ზრდა მათ შორის დაკავშირებულია რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად განვითარებულ მოვლენებთან. კერძოდ, რუსეთისთვის დაწესებული სანქციების შემდეგ, არაერთმა ავტომწარმოებელმა შეწყვიტა რუსეთში ავტომობილების წარმოება ან ექსპორტი. შედეგად, რუსეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა მეორად ავტომობილებზე მოთხოვნა, რაც თავის მხრივ აისახა საქართველოდან რუსეთში ავტომობილების ექსპორტის ზრდის მაჩვენებელზე. აღნიშნული სფეროს წარმომადგენლების მოსაზრებით, საქართველოდან სომხეთში და შუა აზიის ქვეყნებში ექსპორტის ზრდაც ასევე უკავშირდება რუსეთში შექმნილ სიტუაციას. კერძოდ, ერთი მოსაზრებით, რუსეთში სანქციების დაწესების შემდეგ, რუსეთი ვეღარ ამარაგებს ხსენებულ ქვეყნებს უცხოური წარმოების ავტომობილებით, რაც გარკვეულწილად ჩაანაცვლა საქართველომ. ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული ქვეყნები საქართველოდან ექსპორტირებული ავტომობილებით ახდენენ რუსეთის ავტობაზრის გარკვეულ მომარაგებას. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც 2022 წელს ფიქსირდება ავტოექსპორტის ზრდის მაღალი მაჩვენებელი, აღნიშნული განპირობებულია რუსეთის ავტობაზრის დეფიციტით, რისი შევსებაც გარკვეულწილად ხდება საქართველოდან პირდაპირ თუ სხვა ქვეყნის გავლით ავტომობილების მიწოდებით.

ქვეყნები, სადაც იანვარ-სექტემბერში ყველაზე მეტი ავტომობილი გავიდა ექსპორტზე:

1. აზერბაიჯანი - $222 მლნ, 22,587 ავტომობილი, ზრდა წინა წელთან 17%
2. უკრაინა - $113 მლნ, 12,091 ავტომობილი, ზრდა წინა წელთან 69%
3. სომხეთი - $69 მლნ, 7,081 ავტომობილი, ზრდა წინა წელთან 1805%
4. ყაზახეთი - $47 მლნ, 4,980 ავტომობილი, ზრდა წინა წელთან 270%
5. რუსეთი - $46 მლნ, 3,233 ავტომობილი, ზრდა წინა წელთან 268%
6. ყირგიზეთი - $33 მლნ, 5,106 ავტომობილი, ზრდა წინა წელთან 230%
7. ბელგია - $22 მლნ, 450 ავტომობილი, ზრდა წინა წელთან 41%
8. არაბთა გაერთიანებული საამიროები - $9 მლნ, 125 ავტომობილი, ზრდა წინა წელთან 37%
9. ტაჯიკეთი - $9 მლნ, 1,470 ავტომობილი, ზრდა წინა წელთან 60%
10. ბელარუსი - $4 მლნ, 130 ავტომობილი, ზრდა წინა წელთან 5907%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ამონარიდი bm.ge - სტატიიდან.

ზემოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მონაცემები სრულად ეფუძნება შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი აღრიცხვის მოწმობების ასლებიდან დამუშავებულ მონაცემებს. აღნიშნული დოკუმენტაცია სრულად არ ფარავს სანქცირებული ტვირთის გადაადგილებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. მაგალითად, შემოსავლების სამსახურის მოწოდებული განმარტების მიხედვით, სანქცირებული საქონლის/სანქცირებული პირის კუთვნილი საქონლის ექსპორტის ან რეექსპორტის განზრახვის თაობაზე პირის ზეპირი/წერილობითი მომართვის შემთხვევაში, გაიცემა შესაბამისი განმარტება და ასეთი საქონლის ექსპორტი/რეექსპორტი აღარ ხორციელდება. როგორც ირკვევა, ზეპირი მომართვების დოკუმენტურად აღრიცხვა არ ხორციელდება, ხოლო წერილობითი მომართვა შემოვიდა და შესაბამისი განმარტება გაიცა 55 შემთხვევაში.

ამასთან, შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ფარავს მხოლოდ საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევებს და არ მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საქონლის ექსპორტიორს არ მიეცა საბაჟო პროცედურების განხორციელების შესაძლებლობა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო სანქციების ქვეშ მყოფ გემებს (გემი, გემის მფლობელი ან ტვირთი იყო სანქციების სიაში) არ მიეცათ საქართველოს ნავსადგურებში შემოსვლის უფლება. საქართველოს ნავსადგურებში რუსული დროშის ქვეშ მცურავი გემების გამოჩენასთან დაკავშირებით მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ, შემოსავლების სამსახური [განმარტავდა](), რომ მათი სამსახური საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან ერთად კოორდინირებულად, მუდმივ რეჟიმში ახორციელებდნენ როგორც გემების, ასევე გემთფლობელების შემოწმებას საერთაშორისო სანქციებთან მიმართებით და თუ გემი, ან გემის მფლობელი იყო სანქციების სიაში - მას არ ეძლეოდა საქართველოს ნავსადგურებში შემოსვლის და საბაჟო პროცედურების განხორციელების შესაძლებლობა.

IDFI-მ დამატებით მიმართა საზღავო ტრანსპორტის სააგენტოს საერთაშორისო სანქციების ქვეშ მყოფი გემების საქართველოს ნავსადგურებში შემოსვლასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნით. კერძოდ, სააგენტოდან მოთხოვნილ იქნა იმ შემთხვევების შესახებ დეტალური ინფორმაცია, როდესაც **სანქციების ქვეშ მყოფ გემებს (გემი, გემის მფლობელი ან ტვირთი იყო სანქციების სიაში) არ მიეცათ საქართველოს ნავსადგურებში შემოსვლისა და საბაჟო პროცედურების განხორციელების უფლება. ან მიეცათ ნავსადგურებში შემოსვლის უფლება და საბაჟო პროცედურების განხორციელების პროცესში ან მოგვიანებით გამოვლინდა მისი შეუსაბამობები საერთაშორისო სანქციებთან მიმართებით.** სამწუხაროდ, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ IDFI-ს აღნიშნული მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. IDFI-მ მიმართა შესაბამის სამართლებრივ მექანიზმებს (სააგენტოში გაიგზავნა ადმინისტრაციული საჩივარი) აღნიშნული ინფორმაციის მიღების მიზნით. საჩივრის პასუხად, სააგენტომ IDFI-ს განუმარტა, რომ უფლებამოსილი ვიყავით მიგვემართა ბათუმის საქალაქო სასამართლოსთვის, შესაბამისად დავა გრძელდება სასამართლოში.

საერთაშორისო სანქციების აღსრულების კუთხით, საბაჟო კონტროლთან დაკავშირებულ მონაცემებთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია საფინანსო სექტორში სანქციების გვერდის ავლის მცდელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზი. 2022 წლის 16 სექტემბერს, IDFI-მ საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართა 2022 წლის 25 თებერვლის შემდეგ, საქართველოს საფინანსო ინსტიტუტების საერთაშორისო ფინანსურ სანქციებთან შესაბამისობის კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული სამართლებრივი აქტების, სანქციების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან არსებული მიმოწერის ასლების, საფინანსო ორგანიზაციებში გამოვლენილი შეუსაბამობების და მიღებული ზომების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით. ამ მოთხოვნებთან მიმართებით, ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი განმარტებების მიხედვით, **ფინანსურ ინსტიტუტებში გამოვლენილი საერთაშორისო სანქციების მოთხოვნებთან შეუსაბამობების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.** ასევე, ეროვნული ბანკის მიერ **კონფიდენცილურადაა მიჩნეულია ის წერილობითი მითითებები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება საფინანსო ინსტიტუტების შესაბამისობის კონტროლი.** გამონაკლისებს წარმოადგენს ფულად გზავნილებთან დაკავშირებით მიღებული ცალკეული მითითებები, რაზეც ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით მოხსნილი აქვს კონფიდენციალურობის სტატუსი. მათ შორის:

- 2022 წლის 29 ივნისს კომერციულ ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს მიეცათ მითითება, რომ 4 ივლისიდან რუსეთის ფედერაციიდან სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემით განხორციელებული ტრანზაქცია არ უნდა აღემატებოდეს 2000 აშშ დოლარს/ევროს თითოეული გზავნილის შემთხვევაში.

- 2022 წლის 27 ივნისს კომერციული ბანკის ხელმძღვანელებს მიეცათ მითითება, რომ არ განახორციელონ უცხოური ფინანსური ინსტიტუტებისთვის და ნაღდი ფულის ტრანსპორტირებით დაკავებული პირებისთვის, ნაღდი უცხოური ვალუტის (აშშ დოლარი, ევრო, ფუნტ სტერლინგი) მიწოდება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ფულის ტრანსპორტირება ხდება აშშ, დიდი ბრიტანეთი ან ევროზონის ქვეყნებში.

დამატებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა IDFI-ს მოაწოდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა უწყებასთან არსებული მიმოწერის ასლები. მათ შორისაა, უკრაინის ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან, უკრაინის ეროვნული ბანკთან, უკრაინის უმაღლეს რადასთან არსებული მიმოწერა, რომელიც დაკავშირებულია სანქციების აღსრულების პროცესთან.



N 2-15/1121
18/04/2022

Mr. Kyrylo Shevchenko
Governor
National Bank of Ukraine
9 Instytutska Str., Kyiv 01601

Dear Governor Shevchenko,

First of all, on behalf of the National Bank of Georgia, I would like to reiterate our strong support and solidarity to Ukraine.

As regard of your letter N23-0006/22399 of 18/03/2022, please be informed that the National Bank of Georgia has required all the entities supervised by the National Bank of Georgia to adhere to the sanctions imposed by the US, EU and UK on the Russian Federation and Belarus. Furthermore, On April 7th, the National Bank of Georgia issued a special instruction particularly for the Georgian banks which are clients of Union Pay International (UPI) to ensure comprehensive compliance with the sanctions in regard to the transactions via the payment cards under UPI brand and to make sure that there is no direct or indirect breach of the sanctions by their clients. In response, all Georgian commercial banks have terminated the use of the cards issued by all Russian banks under UPI brand.

At this decisive moment and hardship, Georgia and the whole Europe stands with Ukraine!

Слава Україні!

Sincerely,

Koba Gvenetadze

Governor

ასევე დოკუმენტაცია მოიცავს საქართველოს პარლამენტის წევრებთან არსებულ კომუნიკაციას, რომლებიც უმეტესწილად საქართველოს ეროვნული ბანკიდან ითხოვდნენ მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, რომელიც უზრუნველყოფდა რუსეთის ფედერაციისთვის დაწესებული სანქციების რეჟიმის დაცვას. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აპრილი-სექტემბერი პერიოდში, დეპუტატებისათვის გაგზავნილ საპასუხო წერილებში ასახულია შემდეგი მნიშვნელოვანი ცნობები:

- სებ-მა შეწყვიტა სანქცირებული ვითიბი ბანკისთვის უცხოური ვალუტის მიწოდება და ტრანზაქციები.
- სებ-მა სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" შეზღუდვები დაუწესა ოპერაციებზე, მათ შორის, 24 მარტს შეუჩერდა მონაწილეობა ბანკთაშორის ანგარიშსწორების სისტემაში (RTGS სისტემა);
- სებ-მა კომერციული ბანკებისთვის და საგადასახადო მომსახურების პროვაიდერებისთვის შეიმუშავა დამატებითი ანგარიშის ფორმები, რომლის მიხედვით, ეროვნულ ბანკს წარედგინება დეტალური ინფორმაცია რუსეთის, ბელარუსის და სხვა მაღალი რისკის ქვეყნებთან დაკავშირებული კლიენტების/ტრანზაქციების შესახებ.
- ჩინური კომპანიის, Union Pay Internationalis-ის (UPI) კლიენტ ქართულ ბანკებს მიეწოდათ მითითება UPI-ს ბრენდის ქვეშ მყოფი საგადახდო ბარათებთან მიმართებით სანქციების დაცვის თაობაზე.
- სებ-ში შეიქმნა საერთაშორისო სანქციების იმპლემენტაციის ზედამხედველობის განყოფილება.
- კომერციულ ბანკებს დაევალათ სანქციებთან დაკავშირებული პროცედურების დოკუმენტის განახლება 2022 წლის თებერვლის შემდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციების შესაბამისად.

ერთ-ერთი მოთხოვნის პასუხად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ასევე წარმოდგენილია საფინანსო სექტორის წარმომადგენლების ადგილზე ინსპექტირების პროცესის აღწერა და ამ კუთხით არსებული შეფასების მეთოდოლოგია. თუმცა, თითოეული დაინტერესებული პირის მიმართ ეროვნული ბანკი ასევე განმარტავს, რომ ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული ინფორმაცია ან/და ამ ფინანსური ინსტიტუტის ადგილზე ინსპექტირების შედეგები კონფიდენციალურ ინფორმაციას წარმოადგენს.

დასკვნა

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, საერთაშორისო საზოგადოების უკრაინისადმი მხარდაჭერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკას რუსეთის ფედერაციისთვის მკაცრი სანქციების დაწესება და მისი ეფექტური აღსრულება წარმოადგენს. რუსეთისათვის სანქციების დაწესებაზე საქართველოს ხელისუფლებამ საწყის ეტაპზევე უარი განაცხადა, რაც საკუთარი ქვეყნისთვის მომდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური საფრთხეებით იქნა ახსნილი.

აღნიშნულმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ, ქვეყანას გაუჩინა მნიშვნელოვანი რეპუტაციული ვალდებულება, საქართველო არ ქცეულიყო რუსეთისთვის სანქციების თავის არიდების შესაძლებლობად. შესაბამისად, ამ მოცემულობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინირებული მოქმედებით და პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობით, უზრუნველყოს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის თუ საფინანსო სექტორის სანქციებისგან თავის არიდების ნებისმიერი მცდელობის აღკვეთა.

სამწუხაროდ, სანქციების აღსრულების მაკონტროლებელი უწყებების მიერ არ ხდება ინფორმაციის სათანადო ხელმისაწვდომობა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა პროცესისადმი საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ხარისხს. მაგალითად, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო არ უზრუნველყოფს იმ მინიმალური სტატისტიკური ინფორმაციის საჯაროობასაც, რაც დაკავშირებულია მათ მიერ განხორციელებულ აქტივობებთან.

ასევე, მიმდინარე კვლევის ფარგლებში, სანქცირებული ტვირთის საბაჟო კონტროლთან დაკავშირებით ანალიზი წარმოდგენილია შემოსავლების სამსახურიდან მნიშნელოვანი მონაცემების დაფარვით მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით. მონაცემების ანალიზი გარკვეულ კითხვებს აჩენს საწყის ეტაპზე სანქცირებულ საქონელზე საბაჟო კონტროლის ეფექტიანობასთან დაკავშირებითაც. მაგალითად, პირველი სანქცირებული ტვირთი საბაჟო კონტროლის შედეგად უკან გაბრუნდა ომის დაწყებიდან ორი თვის გასვლის შემდეგ.

ამასთან, ცალკეული შემთხვევებით, რომელიც დაკავშირებულია დრონების და სხვა მსგავსი პროდუქციის რუსეთში გადატანის მცდელობასთან, დასტურდება საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით ასეთი ტვირთების გადაზიდვის ინტერესი, რაც ზრდის შესაბამის რისკებს. კერძოდ, მსგავსი პროდუქციის საქართველოს გავლით რუსეთში მოხვედრა მიაყენებს საქართველოს მნიშვნელოვან რეპუტაციულ ზიანს. აქედან გამომდინარე, IDFI მიიჩნევს, რომ შესაბამისმა უწყებებმა, როგორც მინიმუმ, უნდა უზრუნველყონ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციების რეჟიმის აღსრულების შესახებ დეტალური სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა.

ტ. შევჩენკოს ქ. 20, 0108
თბილისი, საქართველო

info@idfi.ge

+ 995 32 292 15 14

www.idfi.ge